



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030620698138520

27 / იანვარი / 2020 წ.

თბილისი #06-10/თ


**„ეპიდემიადამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „B და C
ჰეპატიტებზე ეპიდემიადამხედველობის“ კომპონენტის ფარგლებში
დაწესებულებების მიმწოდებლად რეგისტრაციის ფორმის და მისი შევსების წესის
დამტკიცების შესახებ**

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დადგენილებით დამტკიცებული „ეპიდემიადამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „B და C ჰეპატიტებზე ეპიდემიადამხედველობის“ კომპონენტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილების დამტკიცებული „ეპიდემიადამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „B და C ჰეპატიტებზე ეპიდემიადამხედველობის“ კომპონენტის ფარგლებში B და C ჰეპატიტზე სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულებების რეგისტრაციის ფორმები, მათი შევსების ინსტრუქცია და საანგარიშგებო ფორმები და მათი შევსების წესი თანდართული დანართი #1; #2; #3; #4; #5 #6 - ის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს ალექსანდრე ტურძილაძეს.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე